

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის 2023 წლის 30 მაისის N: 118/01-01 ბრძანების საფუძველზე კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის და გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრებზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის N: 56/2023 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

„17“ ივლისი, 2023წ.

ქ. თბილისი

16:00 სთ, თსუ XI კორპ. ოთახი #324

სხდომას კომისიის წევრებიდან ესწრებოდა 5 წევრი:

1. მანანა ხაჩიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. რევაზ ქურდიანი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ლელა მირცხულავა - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. ტარიელ ხვედელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. გელა ბესიაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი;

დღის წესრიგი:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის და გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შემაჯამება.
2. კონკურსის შედეგების შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ მანანა ხაჩიძის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ ორივე ეტაპის და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. აღინიშნა, რომ საკონკურსო

დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ფიზიკა-მატემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა პაპუნა ქარჩავამ და გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ფიზიკა-მატემატიკის მეცნიერებათა კანდიდატმა ფრიდონ დვალისვილიძემ.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მანანა ხაჩიძის ინფორმაცია ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად მონაწილე კონკურსანტებზე:

1. კონკურსანტი - პაპუნა ქარჩავა

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ პაპუნა ქარჩავას განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით (ფიზიკა-მატემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი), სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად, კონკურდანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

II კატეგორია: პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღნიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (2006-2009 წლებში ეკავა კათედრის მოწვეული პედაგოგის, კომპიუტერული ლაბორატორიის უფროსი ინჟინრის ასისტენტ პროფესორის და 2009 წლიდან დღემდე ასისტენტ-პროფესორის თანამდებობები) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, **სასწავლო-მეთოდური საქმიანობა** (9 სასწავლო კურსი (ბაკალავრიატი), მათ შორის ინგლისურენოვანი კურსები და 2 სასწავლო კურსი (მაგისტრატურა), კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, ტრენინგები (SDSU-Georgia Faculty Development Program-ის სერთიფიკატი, 2019), კონკურსანტის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია, რომლებიც შეტანილია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“**.

III კატეგორია: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 3 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings); ბოლო 6 წლის განმავლობაში კურსანმა წარადგინა მოხსენება 1 ადგილობრივ კლონფერენციაზე; (ციტირების ინდექსი - 1; h ინდექსი - 1; g-ინდექსი -0), სამეცნიერო კონცეფციის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად, კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის მიხედვით არის „საშუალო“.

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი) - აღნიშნულ კატეგორიაში ჩამოთვლილია კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: 1) 20-ზე მეტი ჯგუფური პროექტის ხელმძღვანელი, 2) 15-ზე მეტი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, დამატებითი ინფორმაციაში: 1) Erasmus+-ის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღება (გერმანია), 2) 2021 წელს კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულების ბაზაზე არსებულ სერვერზე ლოკალური სასწავლო ვებ-სერვერის (moodle) გამართვა, რომელიც აქტიურად გამოიყენება კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებაზე სასესიო პერიოდში (გამოცდები, ტესტირება და ა.შ.)

კომისიის გადაწყვეტილებით, საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

2. კონკურსანტი - ფრიდონ დვალიშვილი

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტ ფრიდონ დვალიშვილის განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი, რაც დასტურდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით (ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი), სამსახურებრივი გამოცდილება, პედაგოგიური სტაჟი აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად, კონკურსანტმა I კატეგორიის (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

II კატეგორია: პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღნიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება (03.10.1983 - 01.11.1988 აკად. ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკოსი, 01.11.1988-15.03.1992 აკად. ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, 15.03.1992 - 01.09.2006 - აკად. ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, 01.09.2006-26.09.2016 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ

და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის ასისტენტ-პროფესორი, 26.09.2016-დან დღემდე კათედრის ასოცირებული პროფესორი), შეთავსებით მუშაობა (1998-2010 - ESM-თბილისი, თავისუფალი უნივერსიტეტი - ასოცირებული პროფესორი, 2013-2015 - საქართველოს უნივერსიტეტი - ასოცირებული პროფესორი, 2014-დან დღემდე საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი-GIPA - ასოცირებული პროფესორი) და საერთო პედაგოგიური სტაჟი, კონკურსანტის მიერ წაკითხული სასწავლო კურსები ვაკანსიის პროფილის შესაბამისია, რომლებიც შეტანილია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების კურიკულუმის სავალდებულო საგნების ნუსხაში. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა მიიღო შეფასება „მაღალი“.**

III კატეგორია: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს 2 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია (მონოგრაფია, სტატია რეცენზირებად, საერთაშორისო, უცხოურ, ადგილობრივ ჟურნალში, საკონფერენციო მასალები (Proceedings); ბოლო 6 წლის განმავლობაში კურსანტმა წარადგინა მოხსენება 2 საერთაშორისო კლონფერენციაზე; (ციტირების ინდექსი -62; h ინდექსი - 4; g-ინდექსი - 2), სამეცნიერო კონცეფციის სტრუქტურა და შინაარსი პროფილის შესაბამისია და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

შესაბამისად, კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის მიხედვით არის „საშუალო“.**

IV კატეგორია: სხვა სახის აქტივობა (ბოლო 6 წელი) - აღნიშნულ კატეგორიაში ჩამოთვლილია კონკურსანტის მიერ განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: 1. სამეცნიერო ჟურნალის Journal of Modern Technology and Engineering სარედაქციო კოლეგიის წევრი. ჟურნალი გამოიცემა ბაქოში, გაკეთებული მაქვს 4 სტატიის რეცენზია, 2. სამეცნიერო ჟურნალის „თსუ ი.ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სემინარის მოხსენებები“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (პასუხისმგებელი მდივანი), 3. სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელი და რეცენზენტი, 4. ვიყავი სადოქტორო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრი (დოქტორანტი თ. შავაძე), 5.შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის კოორდინატორი, 6. საოფისე პროგრამები - Ms Office, სტატისტიკური პროგრამა SPSS, პროექტების მართვის პროგრამას MS PROJECT, დაპროგრამების ენა C++, 7. უცხო ენები: ინგლისური - დამაკმაყოფილებელი, რუსული - თავისუფლად.

კომისიის გადაწყვეტილებით, საერთო შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „საშუალო“.**

კონკურსანტების შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით, შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება გაიმართა. გასაუბრება წარმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კონკურსანტებმა უპასუხეს კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს, გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა კონკურსანტების პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების პროცესში გამოვლინდა კონკურსანტის სამეცნიერო ინტერესები, ზოგადად დარგის განვითარებისა და სასწავლო პროცესების ორგანიზების მისეული ხედვა. შეფასდა კონკურსანტის პიროვნული თვისებები.

კონკურსანტების შეჯამებული შეფასებები წარმოდგენილია ცხრილის სახით:

კატეგორია	I	II	III		IV	
პაპუნა ქარჩავა	აკმაყოფილებს	მაღალი	საშუალო	მაღალი	მაღალი	მაღალი
ფრიდონ დვალიშვილი	აკმაყოფილებს	მაღალი	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო

გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ კონკურსანტ პაპუნა ქარჩავას კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან და ასევე კონკურსანტ ფრიდონ დვალიშვილის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე არსებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებთან - კონკურსანტს გააჩნია განათლება და სამეცნიერო ხარისხი პროფილის მიხედვით. მისი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები თანხვედრაშია კათედრის პროფილთან; სამოტივაციო წერილში აღწერილია კონკურსანტის კონკრეტული გეგმები, როგორც აკადემიური ასევე სამეცნიერო თვალთხედვით.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთმეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი. გამოცხადებულ ვაკანსიაზე თითოეულ მონაწილე კონკურსანტზე ცალცალკე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრი იღებდა მონაწილეობას (5 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი).

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტების აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მათი პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები (კონკურსანტის აქტიური მოღვაწეობა, როგორც თსუ-ში ასევე სან დიეგოს პროგრამის ფარგლებში, ერასმუს+ -ის აკადემიური პერსონალის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა), სასწავლო-მეთოდური მუშაობისა (ელექტრონული სწავლების

ფართოდ დანერგვა ფაკულტეტზე და ჯგუფური პროექტებისა და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა. გაითვალისწინა მისი პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრის, როგორც სამეცნიერო-სასწავლო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნითა და ამოცანებით; გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტების აქტიური აკადემიური მოღვაწეობის, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო აქტივობის შესახებ არსებულ მონაცემებს, გაითვალისწინა მათი პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები (კონკურსანტის აქტიური მოღვაწეობა, როგორც თსუ-ში ასევე სხვა უმაღლეს დაწესებულებებში და სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, გაითვალისწინა მისი პიროვნული თუ პროფესიული თვისებები და უნარ-ჩვევები), საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა.


ერთხმად დაადგინეს:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ტექნიკური ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში ერთხმად გამარჯვებულად გამოვლინდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი **პაპუნა ქარჩავა**.
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის გამოყენებითი ინფორმატიკის კათედრაზე ასოცირებული პროფესორის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში ერთხმად გამარჯვებულად გამოვლინდა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი **ფრიდონ დვალისვილი**.
3. კომისიამ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის თანახმად მიიღო გადაწყვეტილება - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრების ხელმოწერა

კომისიის თავმჯდომარე, პროფ.

კომისიის მდივანი, ასოც. პროფ.



თარიღი 17.07.2023

/მ. ხაჩიძე/

/ლ. მირცხულავა/

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ასოც. პროფ.



/რ. ქურდიანი/

კომისიის წევრი, ასოც. პროფ.



/ტ. ხვედელიძე/

კომისიის წევრი, ასოც. პროფ.

/გ. ბესიაშვილი/

4.